

გულგარეთაღი კახისა და „მთიების“ ამბავი

აი, „მთიები“ — თბილისის გლდანის რაიონის პიონერთა სახლის ვოკალურ-ინსტრუმენტული და ქორეოგრაფიული ანსამბლი. თვალმახარა გოგობიჭებს შუაში თავიანთი ხელმძღვანელი, კომპოზიტორი ვაჟა დურგლიშვილი ჩაუყვებიან და სადაცაა სიმღერას მიმოაფენენ ძველი თბილისის უბნებს.

ეს მეორე თაობაა „მთიებისა“. ანსამბლი 1982 წელს ჩამოაყალიბა ვაჟა დურგლიშვილმა და მისი წევრები ჭეშმარიტი სიმღერის მადლს აზიარა.

„მთიები“ უკვე პოპულარული ანსამბლია, ბევრს მოგზაურობს... თუმცა, ამაზე ქვემოთ. მანამდე კი ორიოდე კეთილი სიტყვა ვთქვათ ვაჟა დურგლიშვილზე — ნიჭიერ კომპოზიტორზე, რომლისთვისაც ბავშვებთან მუშაობა ახალი ხილი არ არის, პირიქით, შემოქმედებითი გზა, მან, შეიძლება ითქვას, საბავშვო ნაწარმოებით დაიწყო — მუსიკის მოყვარულებს, ალბათ ეხსოვებათ ახალგაზრდა კომპოზიტორის ოპერა-რევიუ „სათაგური“, რომელსაც დიდი გზნებით ასრულებდა ანსამბლი „მზიური“.

ვაჟა დურგლიშვილი ქსნის თვალწარმტაცი ხეობის შვილია, უეჭვლად იქაურობის მადლი სცხია მის მელოდიებსაც — ნაღდ, ხალას, ჩვენი ფოლკლორით ნასაზრდოებ საესტრადო სიმღერებს.

თბილისის საესტრადო სასწავლებელი რომ დაამთავრა, ვაჟა პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის მუსიკა-სიმღერის ფაკულტეტზე შევიდა და, როგორც თვითონ ამბობს, ეს წლები დღესაც დაუვიწყარია მისთვის. აბა, განსაჯეთ: მართლაც, რა ბედნიერი უნდა ყოფილიყო ყმანვილი, როცა თავად

რეგავ ლალიძე დახვდა ინსტიტუტში მოძღვრად და გზის მანათობლად.

უკვე სტუდენტობის წლებში ვაჟა დურგლიშვილი საკმაოდ პოპულარული კომპოზიტორია, მის ნაწარმოებებს ხალისით ასრულებენ ცნობილი საესტრადო კოლექტივები თუ სოლისტები. რაც მთავარია, ეს სიმღერები ხალხს მოსწონს, მისი თანამგზავრი ხდება („ჩემი თბილისი მეძახის გარეთ, თბილისელებთან ქეიფი მინდა“... „გულმართალი კაცი მიყვარს, სიკეთისთვის ანთებელი“... „მადლა მზეა, და დაბლა დარია“...).

რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის რობერტ ბარძიმაშვილის ნაუბარი:

ეს იყო 1970 წლის გაზაფხულზე. ანსამბლ „ორერას“ ერთერთი რეპეტიციის დროს ჩემთან მოვიდა ოციოდე წლის ყმანვილი კაცი და მთხოვა მომესმინა მისი რამდენიმე სიმღერა. ასეთი თხოვნით სშირად მაკითხავდნენ ხოლმე და გულახდილად რომ ვთქვა, დიდად არ გამეკვირვებია, მაგრამ, რომ მოვისმინე, ძალზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა... სულ მალე „ორერას“ ახალი ფირფიტაც გამოვიდა; პირველივე სიმღერა ამ ფირფიტაზე („სიმღერა გაზაფხულზე“) ეკუთვნოდა ჯერ კიდევ ყველასათვის უცნობ თვითმოქმედ კომპოზიტორს ვაჟა დურგლიშვილს.

ვაჟა ბუნების შვილია, ალბათ, ამიტომაცაა, რომ მის სიმღერებში ასე კარგად იგრძნობა მთის ყვავილების სურნელება და ნათელი განწყობილება.

ვაჟა დურგლიშვილი წარმატებით განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას. ყველაზე უფრო კი ის მახარებს, რომ ამ ბოლო დროს მან ბავშვთა აღზ

რდას მოჰკიდა ხელი. ეს კი, მართლაც და, კეთილშობილური საქმეა.

საესტრადო მუსიკის მოყვარულებმა კარგად იციან, რომ რობერტ ბარძიმაშვილმა თავად შესანიშნავად შეასრულა ვაჟას რამდენიმე სიმღერა. კომპოზიტორის ნაწარმოებები პროგრამაში აქვთ ნაწი ბრეგვაძეს, თემურ ნიკლაურს, სერგო მონიაშვილს, მანანა თოდაძეს... ვაჟა დურგლიშვილთან სამოგონებო თანამშრომლობს ქართული საესტრადო სიმღერის შეუდარებელი მოამაგე — მორის ფოცნიშვილი...

როგორც გავიგეთ, კომპოზიტორი ამჟამად ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებზე ქმნის სიმღერებს, მალე კი მის ახალ გრამფირფიტასაც გამოუშვებს „მელოდია“.

ბავშვები? „მთიების“ წევრებს უზომოდ უყვართ თავიანთი ალბომი, გულმართალი, საერთო საქმეს გადაგებული პედაგოგი. სად არ იმოგზაურებს, რა ფესტივალებზე და კონკურსებზე არ გაიმარჯვებს ვაჟა მასწავლებლის ხელმძღვანელობით; წელს, მთელი ზაფხული, საქველმოქმედო კონცერტებით მოიარეს საქართველოს დაბა-ქალაქები, პიონერთა ბანაკები... ახლა კი მთავარია ბეჯითი სწავლა, და, რაღა თქმა უნდა, ახალი პროგრამის მომზადებაც, რადგან წლის ბოლოს, ალბათ, იტალიაში, ბავშვთა ანსამბლების საერთაშორისო ფესტივალზე მოუწევთ გამოსვლა. ეს კი, არც ისე ადვილია... გვჯერა, ვაჟა დურგლიშვილის ხელმძღვანელობით, „მთიები“ კვლავაც იბრწყინებს.

ვილენ მარდალაიშვილი.

